



MES 4 21 0000441197



13/05/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 16.04.2021

სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 20:50 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ელენე ჟურავლიოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ნინოჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

9. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **თეონამატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
17. **ნინო ინასარიძე** - „CNFA საქართველოს“ გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

აკრედიტაციის ექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ირინა ნაკაშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	გიორგი ტიტვინიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო კორსანტია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ეკატერინე ბეშქენაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ზურაბ ალხანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ვახტანგ თეზიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

8	მანანა ლობჯანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

N	სახელი, გვარი	დაწესებულება	პოზიცია	საკითხი
1	თეა კორძაია	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	ნათია ლაჭავაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი	I
3	ნანა ჯულაყიძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I
4	ქეთევან ჩიქვინიძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)" ხელმძღვანელი	I
5	ნინო ტალიაშვილი	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	რექტორი	II
	სოფიო ხუნდაძე	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	II
6	ანა გვრიტიშვილი	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
7	თინათინ გოგინაძე	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	II
8	სოფიო სამხარაძე	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) ხელმძღვანელი;	II
9	მარიკა ზურმუხტაშვილი	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) თანა-ხელმძღვანელი.	II
10			რექტორი	III

	გიორგი სოსიაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი		
11	ლევან მიდოდაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
12	ციური დურული	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	სასწავლო ნაწილის უფროსი	III
13	ნინო ჯოჯუა	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

- 1.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. შპს - ევროპის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
4. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
5. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული);

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 20 აპრილს განიხილება სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ს "ბუნების დაცვის და მეტყვეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში, თუმცა უნივერსიტეტმა ცენტრს მიმართა თხოვნით, რომ საკითხის განხილვა გადატანილი იქნეს 22 აპრილის შემდგომ, რადგან პროგრამის ხელმძღვანელი და დეკანი მონაწილეობას იღებენ სავსე პრაქტიკებში.

გარდა აღნიშნულისა, ცენტრში შემოვიდა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საპასუხო წერილი 16 აპრილის საბჭოს სხდომის მოწვევაზე, რომელის მიხედვითაც, 16 აპრილის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომას ვერ დაესწრებოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, შესაბამისად, დაწესებულებამ მოითხოვა აღნიშნული საკითხის 20 აპრილის შემდგომ გადადება.

საბჭომ მხარი დაუჭირა დღის წესრიგის ორივე ცვლილებას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

2. შპს - ევროპის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

4. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)/Applied Biosciences (Biotechnology)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.09.2011, №41 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგიები)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of Applied Biosciences and Biotechnology

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ბიოქიმია 0512
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა N 59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი N1, 4600, საქართველო
15	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილე	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, აკრედიტაციის ვიზიტი წარიმართა დისტანციურ ფორმატში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). შეხვედრა შედგა 17.02.2021 წ. ექსპერტთა ჯგუფსა და აწსუ-ს წარმომადგენლებს შორის მშვიდ და ურთიერთთანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ონლაინ ფორმატით განხორციელდა აწსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ექსპერტთა ჯგუფს ქონდა შესაძლებლობა, ენახა აწსუ-ს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრი, სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები, ბიოქიმიის, უმაღლესი ნერვული მოქმედების კვლევითი, გენეტიკის, მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგიის, ადამიანის ნორმალური ანატომიისა და ციტოლოგია-ჰისტოლოგიის ლაბორატორიები, ზოოლოგიის მუზეუმი, ჰერბარიუმი, ვივარიუმი. ვიზიტის დასრულების შემდეგ, მოხდა პროგრამის შესახებ ძირითადი მიგნებების გაზიარება აწსუ-ს წარმომადგენლებისთვის.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი \_ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;  
მეორე სტანდარტი \_ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;  
მესამე სტანდარტი \_ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;  
მეოთხე სტანდარტი \_ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;  
მეხუთე სტანდარტი \_ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. ზოგიერთი სასწავლო კურსის დამატება აუცილებელია, როგორცაა ორგანული, ფიზიკური და კოლოიდური ქიმია, რადგან პროგრამის საფუძვლიანად ათვისება არ იყოს დაკავშირებული სტუდენტის დამატებითი კომპონენტის არჩევაზე;
2. პროგრამის შედეგების სრულყოფილად მისაღწევად, აუცილებელია სასწავლო კურსების უმეტესობაში, როგორც ლაბორატორიული მეცადინეობების ხანგრძლივობის გაზრდა, ისე ბიოტექნოლოგიის მიმართულებით მნიშვნელოვანი საკითხების შინაარსობრივად გაღრმავება, ამასთან ერთად მნიშვნელოვანია კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაც, რათა სასწავლო კურსები უფრო მეტად ფოკუსირდეს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე;
3. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული გამოწვევების დასაძლევად უსდ-მ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით შეიმუშავოს კონკრეტული სამოქმედო გეგმა;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები გახდეს რეალურად მიღწევადი და შესაბამისობაში მოვიდეს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროს მოთხოვნებთან დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, რათა კურსდამთავრებულს მისცეს შესაძლებლობა, როგორც ბიოტექნოლოგიის მიმართულებით წარმატებით დასამკვიდრებლად, ისე განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად საერთაშორისოდ აღიარებულ უნივერსიტეტებში;
5. აუცილებელია მე-5 კომპონენტის (დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი) დამატებითი პროგრამის არჩევის მექანიზმის მოდიფიცირება, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამისათვის აუცილებელი სასწავლო კურსების არჩევა რადგან, სტუდენტზე ამ ეტაპზე მოცემული თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში, შესაძლოა რისკის ქვეშ დადგეს პროგრამის საბოლოო შედეგზე გასვლა; ი აუცილებელია სასწავლო კურსების უმეტესობის (სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით) პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე ფოკუსირება. ასევე, დარგისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსების შემთხვევაში, ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დათმობილი საათების გაზრდა;
6. ლაბორატორიული მეცადინეობების დამატება, ხანგრძლივობის გაზრდა და შესაბამისად შესასრულებელი ამოცანების გაღრმავება შემდეგ სასწავლო კურსებში: ზოგადი და არაორგანული ქიმია, ბიოქიმია I, ბიოქიმია II, უჯრედის ბიოლოგია, გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია, მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგია, ლაბორატორიული კვლევის მეთოდები ბიოტექნოლოგიაში;
7. ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიული კურსის შემთხვევაში, გადაიხედოს სასწავლო კურსის შინაარსი; სასურველია ლაბორატორიული კურსი არ მოიცავდეს ლექციებს. შესაძლოა მხოლოდ რამდენიმე სემინარს დაეთმოს დრო. სასურველია, ლაბორატორიული კომპონენტის ცალკე სასწავლო კურსის ფორმით განაწილება მეორე, მესამე და მეოთხე სასწავლო წლების მიხედვით;

8. სასურველია სილაბუსებში ლიტერატურის შემოწმება და განახლება. კერძოდ, თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატება, ასევე არაკადემიური წყაროების ამოღება;
9. აუცილებელია პროგრამაში სამეცნიერო კომპონენტის გაძლიერება. ჩვენ ვთვლით, რომ პროგრამას უნდა ჰქონდეს საბაკალავრო ნაშრომის/კვლევითი პროექტის შეთავაზება. აღნიშნული სტუდენტს გაუწევს მნიშვნელოვან დახმარებას ექსპერიმენტული კვლევის გამოცდილების მიმართულებით და გაიაზროს თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოწვევები;
10. სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების შემთხვევაში თეორიულ, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დათმობილი საათების რაოდენობა და მათ შორის ბალანსი არაეფექტურია. მაგ. უჯრედის ბიოლოგია - ლექცია/ პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა-2/1/0; გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია 1-ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა-2/1/0; ბიოქიმია I-ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა-1/1/1;
11. აუცილებელია სტუდენტების გაცვლით და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა, რაც მნიშვნელოვანია მათი მომავალი კარიერული წინსვლისათვის; ასევე ვფიქრობთ, უსდ-მ უნდა უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტების მეტი ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონფერენციებში;
12. აუცილებელია პროგრამის განმხორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის და შესაბამისად კვალიფიკაციის გაუმჯობესება/ამაღლება. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური პერსონალი ჩართული იყოს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეთ სამეცნიერო პუბლიკაციები შესაბამისი მიმართულებით იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში;
13. პროგრამის განმხორციელებელი აკადემიური პერსონალის დაკომპლექტებაში თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული კრიტერიუმების გამოყენება; განსაკუთრებით, გათვალისწინებული უნდა იქნას ბიოტექნოლოგიის და მომიჯნავე მიმართულებების სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
14. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გახდეს სასწავლო და სამეცნიერო აღჭურვილობა და ლაბორატორიული დანადგარები;
15. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაფინანსების გაზრდა და სისტემატიზება;
16. შეფასების მონიტორინგის მექანიზმი უნდა გაუმჯობესდეს;
17. ეფექტური გამოკითხვის ფორმულარების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს კონკრეტული პრობლემების გამოვლენას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტების აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე, რომელიც ჯერ კიდევ ვიზიტის დღეს დაფიქსირდა მიგნებების სახით, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში განხორციელდა ცვლილება და მოხდა სასწავლო კურსის „ორგანული ქიმია“ დამატება. სასწავლო კურსის მოცულობა განისაზღვრა 5 კრედიტით და სააუდიტორიო მუშაობისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა გადანაწილდა შემდეგი სახით: 15 სთ ლექცია და 30 სთ ლაბორატორიული მუშაობა. რაც შეეხება სასწავლო კურსს „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“, ამ ეტაპზე პროგრამაში მისი დამატების აუცილებლობას დაწესებულება ვერ ხედავს, რადგან სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურსში - „ბიოფიზიკა“ საკმარისად განიხილება ისეთივე თემები, რომლებიც ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის სასწავლო კურსის სილაბუსის შინაარსში არის ჩადებული. აღნიშნული ცვლილების დადასტურების მიზნით წარმოგიდგენთ საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)“ სასწავლო გეგმას დანართი 1-ის სახით.



სასწავლო კურსებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებთან მიმართებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციებში ძირითად მოთხოვნად ლაბორატორიული მეცადინეობების ხანგრძლივობის გაზრდა, მეცადინეობების დამატება, პრაქტიკული კომპონენტის, პრაქტიკული უნარჩვევების განვითარება იკვეთება, შესაბამისად ისინი შინაარსობრივად მეტწილად თანხვედრაშია. მათი გათვალისწინებით და ჯერ კიდევ ვიზიტისას ექსპერტების მიერ გაჟღერებული მიგნებების საფუძველზე გადაიხედა ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობების თანაფარდობა რიგ სასწავლო კურსებში და მათ შორისაა რეკომენდაციებში მითითებული სასწავლო კურსებიც. მაგ: ზოგადი და არაორგანული ქიმია - 1/0/2, უჯრედის ბიოლოგია - 1/1/1, გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია 1- 1/1/1 და ა.შ. აღნიშნულის გათვალისწინებით, აკადემიური პერსონალი გადახედავს სასწავლო კურსების სილაბუსებს და საჭიროების შემთხვევაში მოახდენს ბიოტექნოლოგიის მიმართულებით მნიშვნელოვანი საკითხების შინაარსობრივად გაღრმავებას. რაც შეეხება რეკომენდაციას ლაბორატორიული კომპონენტის ცალკე სასწავლო კურსის ფორმით განაწილება მეორე, მესამე და მეოთხე სასწავლო წლების მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ და მეორე სასწავლო წელს ლაბორატორიული მუშაობების რაოდენობა გაიზრდება ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ცვლილების შედეგად, მესამე სასწავლო წელს გათვალისწინებულია 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი „ლაბორატორიული კვლევის საფუძვლები“, ხოლო მეოთხე სასწავლო წელს სასწავლო კურსი „ლაბორატორიული კვლევის მეთოდები ბიოტექნოლოგიაში“ (1/1/2) და მე-8 სემესტრში 15 კრედიტიანი პროფესიული პრაქტიკა, რომელსაც სტუდენტები გადიან ისეთ პარტნიორ დაწესებულებებში როგორცაა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (იმერეთის რეგიონი), სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახური (დასავლეთის რეგიონული სამმართველო), სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია (ქუთაისი), შპს „მიკრობიოლოგი“ და სხვა.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრში (იმერეთის რეგიონი), სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში (ქუთაისი), სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონულ სამმართველოში, კლინიკის „ალფამედი“ ლაბორატორიაში, ხონელიძის კლინიკის ლაბორატორიაში და ა.შ. კურსდამთავრებულებმა განათლების მიღება გააგრძელეს შემდეგ საფეხურზე როგორც აწსუ-ში, ასევე თსუ-ში ბიოტექნოლოგიის მიმართულებით.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, შრომის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა და ბიოტექნოლოგიისადმი წაყენებული მზარდი მოთხოვნები განაპირობებს სრულფასოვანი სპეციალისტის მომზადებას. რაც წარმოუდგენელია სასწავლო პროცესის ინდუსტრიასთან მჭიდრო კავშირის გარეშე. პრაქტიკა ემსახურება სწავლის პროცესში, სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, ცოდნის გაღრმავებასა და გამყარებას. ის ავითარებს თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. პროგრამა ითვალისწინებს სწავლების პროცესში მე-8 სემესტრში პროფესიული პრაქტიკის განხორციელებას, რომლის მოცულობა 15 კრედიტია. ის სრულდება სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე შესრულებული დავალებების ანალიზის საფუძველზე შექმნილი ნაშრომის წარდგენით. პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსებით სტუდენტის მიერ შესასრულებელი დავალების ერთ-ერთი ფორმაა რეფერატის/პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა. შესაბამისად ფასდება ფორმალურ მხარესთან ერთად შინაარსობრივი, კერძოდ, საკითხის დასმა, საკითხის გადაწყვეტის გზა, მიღებული შედეგები და მათი არგუმენტირებული დასაბუთება და სხვა. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მოსაზრებით,

აქტივობის აღნიშნული ფორმა სტუდენტს სძენს გარკვეულ გამოცდილებას, უნარს დამოუკიდებლად მოიძიოს დარგში არსებული სიახლეების შესახებ მონაცემები და მათი ანალიზის საფუძველზე გააკეთოს დასკვნები.

აკადემიურ პერსონალთან მიმართებით არსებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი 2014 წელს ღია კონკურსით და აკადემიური საბჭოს დადგენლებით განსაზღვრული კრიტერიუმებით შერჩეული იყო აკადემიურ თანამდებობებზე. კონკურსი სამ ეტაპად განხორციელდა. საკონკურსო კომისიის მიერ (კომისიის წევრები იყვნენ დარგის სპეციალისტები ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან) ჯერ მოხდა კონკურსანტების მიერ წარდგენილი დოკუმენტების შესწავლა და შეფასება, მეორე ეტაპი იყო გასაუბრება და მესამე ეტაპზე კონკურსანტების მიერ წაკითხული იქნა კომისიის მიერ სილაბუსებიდან შერჩეულ თემაზე ლექციები (მათ შორის იყო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) სასწავლო კურსები). პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა სამივე ეტაპი გაიარა და თავისი კომპეტენციებით კონკურსის პირობები დააკმაყოფილა. 2019 წელს აწსუ-ში ჩატარდა ასოცირებული პროფესორების ატესტაცია და საატესტაციო კომისიის მიერ (ამჯერად კომისია დაკომპლექტდა დარგის სპეციალისტებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან) შეფასდა მათი საქმიანობა უნივერსიტეტში. ამ შემთხვევაშიც აკადემიურმა პერსონალმა დააკმაყოფილა მოთხოვნები და საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით აკადემიური პერსონალი შესაბამისობაშია დაკავებულ აკადემიურ თანამდებობებთან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტში სწავლების მრავალწლიანი გამოცდილებით უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კადრის მომზადებას.

აღსანიშნავია ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხი, კერძოდ, უსდ-ში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და პარტნიორ ორგანიზაციებში განხორციელებული პროფესიული პრაქტიკა (15 კრედიტის მოცულობით) იძლევა პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლიდან ბიოლოგიის დეპარტამენტი ჩართულია ევროკავშირის გრანტში ENI/2020/417-316 „ლაბორატორიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების (LLL) კურსები ახალგაზრდებისთვის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში“, რომელიც ითვალისწინებს უსდ-ში ლაბორატორიის მოწყობას. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ჩართულია საქართველოს ბიოტექნოლოგთა ასოციაცია, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტები, ტერამოს უნივერსიტეტი, მილანის უნივერსიტეტი. პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის უკვე შეთანხმებულია პროექტის ფარგლებში უსდ-სთვის შესაძენი აღჭურვილობების ჩამონათვალი და მათ შესაძენად განკუთვნილი თანხების რაოდენობა უნივერსიტეტის თანადაფინანსებით. გამოყოფილია და დაგეგმილია ლაბორატორიის მოწყობისთვის განკუთვნილი სივრცეები.

რაც შეეხება მე-16 რეკომენდაციას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა. პროცედურა აღწერს არსებული აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას სხვადასხვა ინდიკატორებისა და კრიტერიუმების მიხედვით. პროცედურის განხორციელებით მიღებული შეფასება გამოიყენება მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები/კრიტერიუმები: ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) კმაყოფილება პროგრამის სწავლის შედეგებით; სტუდენტთა აკადემიური მოსწრება; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; სტუდენტთა მოძრაობის დინამიკა; სტუდენტთა ინფორმირება და მათი ჩართულობა

სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში; სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი; პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების მაჩვენებლები და სხვა ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შესაფასებლად. პროცედურის მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები/ღონისძიებები: ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი; კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი; პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების ანალიზი; კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ანალიზი; ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი განხორციელების ვადები და წარმართველი პირი/სტრუქტურა. მაგ: ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების, ორ წელიწადში ერთხელ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი კეთდება 2-ჯერ სასწავლო წელიწადში, ზამთრის სემესტრისათვის - მარტი და ზაფხულის სემესტრისათვის - სექტემბრი და ა.შ. პროცედურის განხორციელებით მიღებული შეფასებები, მიღებული სტატისტიკური/რაოდენობრივი მაჩვენებლები გამოიყენება პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ მათი დასკვნის მიხედვით, თუ ამ კურსებს არჩევითიდან გადაიტანენ სავალდებულოში, სტუდენტები საფუძვლიანად აითვისებენ პროგრამის სწავლის შედეგებს და მოუწოდა ექსპერტებს მოცემული საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოიკითხა მხოლოდ ოთხი დაწესებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახეზე არ არის სრულყოფილი შრომის ბაზრის კვლევა.

საბჭოს წევრმა ელენე ჟურავლიოვამ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს და აღნიშნა, თუ რამდენად არის გამოსწორებადი ლაბორატორიული რესურსი და ზოგადად რას გეგმას აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულება. საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა ექსპერტებს მე-4 სტანდარტთან არსებული რეკომენდაციის განმარტებისკენ. რაც შეეხება ლიტერატურას, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს აღწერათ საკითხის მასშტაბი, ანუ პრობლემა უკავშირდებოდა ერთ თუ რამდენიმე სასწავლო კურსს. გარდა აღნიშნულისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამდენად მიღწევადია პროგრამის სწავლის შედეგები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, სასწავლო კურსებისა და პერსონალთან დაკავშირებული დოკუმენტები და განმარტა, რომ საგნების ნაწილს კითხულობენ პროფესორები, თუმცა არიან პროფესორები, რომლებიც 7 ან 8 სასწავლო კურსს ხელმძღვანელობენ. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რამდენად მიზანშეწონილია მოცემული დატვირთვა?

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ რჩევის სახით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სილაბუსების უცხოენოვანი ლიტერატურით გამდიდრება. ასევე ბიოფიზიკის სასწავლო კურსის წინაპირობად, მიზანშეწონილია განისაზღვროს ფიზიკა, რადგან სილაბუსში წარმოდგენილი თემების შესწავლა მოითხოვს ჯერ ფიზიკის თემების შესწავლას და შემდგომ ბიოფიზიკის სილაბუსში წარმოდგენილი საკითხების განხილვას.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, აღნიშნა პროგრამის სახელწოდება და დაინტერესდა თუ რა დანიშნულება აქვს ბიოტექნოლოგიას პროგრამის დასახელებაში, მაშინ როცა მთელ სასწავლო პროგრამაში მხოლოდ ერთი სასწავლო კურსით შემოიფარგლება. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რითი განსხვავდება აღნიშნული პროგრამა ბიოლოგიის პროგრამისაგან. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა თუ რა დროს ატარებს სტუდენტი ლაბორატორიაში და შესაბამისად, რა დრო სჭირდება პრაქტიკული უნარების ასათვისებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე - ჯიმკარიანმა კითხვით მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ 1.1. კომპონენტში მითითებულია დასკვნაში რჩევა, კერძოდ, პროგრამის სახელწოდების ცვლილება, „გამოყენებითი მეცნიერებები“ ან/ და „ბიოტექნოლოგია“. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ იყო თუ არა რაიმე საკითხი, რომელმაც მოახდინა საკითხის დეტალურად განმარტება და ექსპერტთა კონკრეტული საკითხისადმი პოზიციის შეცვლა? საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა მატერიალურ ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით და აღნიშნა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია, კერძოდ აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაფინანსების გაზრდა და სისტემატიზება. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა იგულისხმება სისტემატიზირებაში? გარდა ამისა, აღსანიშნავია შეფასების მონიტორინგის საკითხი, რომელიც უფრო მეტად ავტორიზაციის საკითხს განეკუთვნება, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რა გახდა რეკომენდაციის განსაზღვრის საფუძველი? საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა თუ რა დონე აქვთ ქიმიის სტუდენტებს საწყის ეტაპზე? გარდა ამისა, აღსანიშნავია ასევე პროფესიული პრაქტიკის როლი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა დააზუსტა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტის დროს იმის განმარტების შესაძლებლობა, რომ პროფესიული პრაქტიკა ასევე შეიცავს კვლევით კომპონენტსაც.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ პრაქტიკულ ნაწილს პროგრამაში საკამოდ დიდი ადგილი უჭირავს, პროგრამა ასევე დატვირთულია ლაბორატორიული მუშაობებით, ამ ფაქტორის გათვალისწინებით, რა მექანიზმები შეიმუშავა დაწესებულებამ, რომ ონლაინ სწავლების ფარგლებში მიღწეული ყოფილიყო სწავლების შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ისაუბრა შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ვინაიდან საუბარია ბიოტექნოლოგიაზე, საჭიროა განსხვავებული მიდგომები. სავალდებულო სასწავლო კურსების შემთხვევაში თანაფარდობა არაეფექტურია, მაგალითად, ლექციების შემთხვევაში ძირითადად არის პრაქტიკული და არც ერთი ლაბორატორიული. „მოლეკულური ბიოლოგიის“ მიმართებულებით, არ გვხვდება არც ერთი ლაბორატორიული სამუშაო. პროგრამა განსაკუთრებით საყურადღებოა იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტს აქვს PGR სისტემა, თუმცა მასალის არარსებობის გამო, სტუდენტი სწავლობს მხოლოდ თეორიულად. იქიდან გამომდინარე, რომ ბიოტექნოლოგიები მუდმივად განვითარებადი სფეროა, შეუძლებელია ერთსაათიანი ლაბორატორიული სამუშაოების ფარგლებში ექსპერიმენტების წარმატებულად დასრულება. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტს უნდა შეეძლოს თანამედროვე მეთოდების გამოყენება, თუმცა წვდომა აღნიშნულთან არ არის უზრუნველყოფილი. აქედან გამომდინარეობდა სწორედ შედეგებთან დაკავშირებული რეკომენდაცია. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატიზაციაში იგულისხმება ის, რომ PGR სისტემა, რომელიც იყო მოცემული დოკუმენტში და დადასტურებული იქნა დაწესებულების მიერ ამ სისტემის არსებობა, აღმოჩნდა რომ არ იქნა წარმოდგენილი ონლაინ ვიზიტის დროს, შესაბამისად, ბიოტექნოლოგიის მიმართულებით, თუ სტუდენტს დამოუკიდებლად არ ექნება იმის შესაძლებლობა, რომ ჩაატაროს ექსპერიმენტები და ჰქონდეს მარტივი მანიპულაციების განხორციელების შესაძლებლობა, ჩნდება კითხვის ნიშნები სწავლის შედეგებზე გასვლასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მე-4 სტანდარტს, დაწესებულება ხელმძღვანელობდა წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტით. წარმოდგენილია, პროფესორს რომელიც სასწავლო კურსს უძღვება არ ჰქონდეს 5 წლის განმავლობაში არც ერთი სამეცნიერო ნაშრომი, ვინაიდან ამას პირველ რიგში პროგრამა და დარგის გამოწვევები ითხოვს. მნიშვნელოვანია ასევე საგრანტო

კონკურსებში ჩართულობა. შესაბამისად, სწორედ დაესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული რეკომენდაციის განსაზღვრა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესრულების შემდგომ შესაძლებელი იქნება სწავლის შედეგებზე გასვლა. თავად მოცემული სილაბუსების მიხედვით, დიდი კითხვის ქვეშ დგას სწავლის შედეგებზე გასვლის საკითხი. უმჯობესი იქნება სტუდენტების ფოკუსირება ლაბორატორიულ მეცადინეობებზე და არა მხოლოდ თეორიულზე.

საბჭოს წევრმა, დააზუსტა იყო თუ არა დამაკმაყოფილებელი ლაბორატორიული რესურსები. ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ უშუალოდ ბიოტექნოლოგიის მიმართულებით დაწესებულებას არ აქვს სპეციალიზირებული ლაბორატორია.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ბიოტექნოლოგიების მიმართულება არ საჭიროებს ცალკე ლაბორატორიას.

რაც შეეხება ხარისხის მონიტორინგის საკითხს, ინფრასტრუქტურის ნაწილი ბუნდოვანია; საკითხებს, რაც მიჩეულია დაწესებულების დადებით მხარედ, სტუდენტები განსხვავებულად აფასებენ. გარდა ამისა, დაწესებულების მიერ არ იყო მოცემული დამსაქმებლების კმაყოფილების ანალიზი. დამსაქმებელი ასევე ვერ პასუხობს კითხვაზე თუ რა განსხვავებაა ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების კურსდამთავრებულებს შორის.

აღსანიშნავია ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საკითხი, რომელიც სრულიად დაკავშირებულია ინვესტიციასთან. გარდა ამისა, საკმაოდ მასშტაბურია თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის დანაკლისი, როგორც ძირითად, ასევე დამატებით ლიტერატურაში. პროგრამის აკადემიური პერსონალი რა თქმა უნდა ცდილობს პროგრამის გაუმჯობესებას, თუმცა, პრობლემა ასევე არის ინგლისური ენის ცოდნასთანაც. შესაბამისად, მხოლოდ ლიტერატურის დამატებით აღნიშნული ხარვეზი ვერ გამოსწორდება. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ რეალურად პროგრამა განტვირთულია ლაბორატორიული სამუშაოებისგან. მაქსიმალური ლაბორატორიის ხანგრძლივობა არის ორი საათი. თუმცა საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის მიხედვით, ლაბორატორია უნდა ტარდებოდეს 3-4 საათის განმავლობაში.

რაც შეეხება 15 კრედიტიან პრაქტიკას, ინდუსტრიაზე მინდობა იმ მიზნით, რომ ის შეასწავლის პრაქტიკას, არასწორი მიდგომაა, ვინაიდან ინდუსტრიული მუშაობა და საუნივერსიტეტო ლაბორატორიული პრაქტიკა ერთმანეთისგან გამიჯნულია. ინდუსტრიაში ძირითადად ტარდება ერთგვარი, რუტინული ანალიზები, რომელიც ვერ გაზრდის სტუდენტის კვალიფიკაციას და ვერ მისცემს შესაბამის ცოდნას. პროგრამის ერთ-ერთი წარმატებული კურსდამთავრებული მუშაობს მენეჯერად და არა ბიოტექნოლოგად.

გარდა ამისა საყურადღებოა, ასევე სამეცნიერო კომპონენტის ძლიერ მხარედ, პრეზენტაციებისა და რეფერატების მიჩნევა. ბიოტექნოლოგიების მიმართულებით, გაცილებით მეტი წარმატების მომტანი იქნება კვლევითი პროექტის დანერგვა, ვინაიდან სტუდენტი ამ დროს იზიარებს საკმაოდ მნიშვნელოვან გამოცდილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია რიგ საკითხებში ექსპერტებს არ ეთანხმება, კერძოდ რაც შეეხება შედეგების ნაწილს, საბაკალავრო საფეხური, რომელიც 240 კრედიტიანია, 180 გულისხმობს ძირითად პროგრამას, ხოლო 60 კრედიტი დამატებით მაინორ პროგრამას. კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით, მინიმუმ 120 კრედიტია საჭირო იმისთვის, რომ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებით გაიწეროს პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის მიხედვით, 120 კრედიტი მოიცავს ბიომეცნიერებებს. პირველ სემესტრში სტუდენტები სწავლობენ ქიმიის შესავალს, ზოგად და არაორგანულ ქიმიას, შესაბამისად, დაწესებულება ამ მიმართულებით იძლევა საბაზო ცოდნას. ექსპერტმა რეკომენდაციის შესაბამისად დამატებული იქნება ორგანული ქიმიის კურსი, ხოლო ბიოქიმიის სწავლება დაიწყება მე-3 სემესტრიდან. დამატებითი მაინორ პროგრამა ქიმიაში აერთიანებს 12 სასწავლო

კურსს სხვადასხვა მიმართულებიდან გამომდინარე. ამ 12-დან საუბარია მხოლოდ ორგანულ ქიმიასა და ფიზიკურ და კოლოიდურ ქიმიაზე. ორგანული ქიმია როგორც აღინიშნა დაემატება, ხოლო რაც შეეხება ფიზიკურ და კოლოიდურ ქიმიას დაწესებულება ამ საკითხს დააკვირდება და შემდგომ კვლავ განიხილავს. პროგრამის ფარგლებში და არსებული რესურსებიდან გამომდინარე, სტუდენტი გადის სწავლის შედეგებზე და მათი მხრიდან უკუკავშირშიც არ ჩანს საწინააღმდეგო.

რაც შეეხება უცხო ენის საკითხს, დაწესებულებაში ისწავლება 4 უცხო ენა, ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული. ყველა სტუდენტმა არ იცის ინგლისური, შესაბამისად თუ სავალდებულო ლიტერატურაში მიეთითება ინგლისურენოვანი ლიტერატურა, აღნიშნული სტუდენტების ნაწილისთვის იქნება მიუღწეველი და დაუძლევადი. შესაბამისად ძირითად ლიტერატურად განსაზღვრულია ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, რომლებიც ყველა სტუდენტისთვის არის ხელმისაწვდომი.

მნიშვნელოვანია ასევე შრომის ბაზრის კვლევის საკითხი, 4 ორგანიზაცია ნამდვილად ცოტაა ვალიდური კვლევისთვის. თუმცა, დაწესებულებას მუდმივად აქვს კომუნიკაცია დამსაქმებლებთან. სტუდენტი ინდუსტრიაში მიდის მინიმალური საბაზო ცოდნით, რომელიც მან მიიღო ლაბორატორიული მუშაობების შედეგად.

რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, დაწესებულება არის ერთ-ერთი პროექტის მონაწილე, რომლის ფარგლებშიც უკვე დაიგეგმა უნივერსიტეტში ბიო უსაფრთხოების ლაბორატორიის შექმნა. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის გრანტის ფარგლებში. სექტემბრისთვის აღნიშნული ლაბორატორია უკვე იქნება დაწესებულებაში.

მნიშვნელოვანია ასევე ონაღის სწავლების პირობებში აქტივობების განხორციელების საკითხიც, კერძოდ, ლაბორატორიული მუშაობები პროგრამის ფარგლებში ჩატარდა უნივერსიტეტის სივრცეში. სწავლების შედეგები გაიმიჯნა, კერძოდ თეორიული შედეგები მიღწეული იქნა ონაღის სწავლების ფარგლებში, ხოლო პრაქტიკული - უნივერსიტეტში ლაბორატორიული მუშაობების გზით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:06

დასრულების დრო: 18:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენითა და 2 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაციის 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენითა და 2 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

ასევე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. აგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. აუცილებელია ზოგიერთი სასწავლო კურსის დამატება, როგორცაა ორგანული, ფიზიკური და კოლოიდური ქიმია, რადგან პროგრამის საფუძვლიანად ათვისება არ იყოს დაკავშირებული სტუდენტის დამატებითი კომპონენტის არჩევაზე;
2. პროგრამის შედეგების სრულყოფილად მისაღწევად, აუცილებელია სასწავლო კურსების უმეტესობაში, როგორც ლაბორატორიული მეცადინეობების ხანგრძლივობის გაზრდა, ისე ბიოტექნოლოგიის მიმართულებით მნიშვნელოვანი საკითხების შინაარსობრივად გაღრმავება, ამასთან ერთად მნიშვნელოვანია კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაც, რათა სასწავლო კურსები უფრო მეტად ფოკუსირდეს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე;
3. დაზუსტდეს სწავლის შედეგები საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, როგორც ბიოტექნოლოგიის მიმართულების წარმატებით დასამკვიდრებლად, ისე განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად საერთაშორისოდ აღიარებულ უნივერსიტეტებში.
4. აუცილებელია მე-5 კომპონენტის (დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი) დამატებითი პროგრამის არჩევის მექანიზმის მოდიფიცირება, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამისათვის აუცილებელი სასწავლო კურსების არჩევა რადგან, სტუდენტზე მოცემული თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში, შესაძლოა რისკის ქვეშ დადგეს პროგრამის (დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი) საბოლოო შედეგზე გასვლა;
5. აუცილებელია სასწავლო კურსების უმეტესობის (სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით) პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე ფოკუსირება. ასევე, დარგისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსების შემთხვევაში, ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დათმობილი საათების გაზრდა;
6. ლაბორატორიული მეცადინეობების დამატება, ხანგრძლივობის გაზრდა და შესაბამისად შესასრულებელი ამოცანების გაღრმავება შემდეგ სასწავლო კურსებში: ზოგადი და არაორგანული ქიმია, ბიოქიმია I, ბიოქიმია II, უჯრედის ბიოლოგია, გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია, მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგია, ლაბორატორიული კვლევის მეთოდები ბიოტექნოლოგიაში;
7. ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიული კურსის შემთხვევაში, გადაიხედოს სასწავლო კურსის შინაარსი; სასურველია ლაბორატორიული კურსი არ მოიცავდეს ლექციებს. შესაძლოა მხოლოდ რამდენიმე სემინარს დაეთმოს დრო. სასურველია, ლაბორატორიული კომპონენტის ცალკე სასწავლო კურსის ფორმით განაწილება მეორე, მესამე და მეოთხე სასწავლო წლების მიხედვით;
8. სასურველია სილაბუსებში ლიტერატურის შემოწმება და განახლება. კერძოდ, თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატება, ასევე არააკადემიური წყაროების ამოღება;
9. სილაბუსებში დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა და ამოღებულ იქნას არააკადემიური წყაროები;
10. აუცილებელია სტუდენტების გაცვლით და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა, რაც მნიშვნელოვანია მათი მომავალი კარიერული წინსვლისათვის; ასევე ვფიქრობთ, უსდ-მ უნდა უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტების მეტი ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონფერენციებში;

11. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დაკომპლექტებაში თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული კრიტერიუმების გამოყენება; განსაკუთრებით, გათვალისწინებული უნდა იქნას ბიოტექნოლოგიის და მომიჯნავე მიმართულებების სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
12. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გახდეს სასწავლო და სამეცნიერო აღჭურვილობა და ლაბორატორიული დანადგარები;
13. ინსტიტუციამ შეიმუშაოს ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და შენარჩუნება-მომსახურების გეგმა, შესრულების ვადების და ფინანსური რესურსების მითითებით;
14. ეკომენდირებულია შეფასების მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესებადეს;
15. ეკომენდირებულია ეფექტური გამოკითხვის ფორმულარების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს კონკრეტული პრობლემების გამოვლენას;
16. იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ლაბორატორიული მუშაობა დიდი წილით არის წარმოდგენილი, (მაგ; „ლაბორატორიული კვლევის მეთოდები ბიოტექნოლოგიაში“), გამოიკვეთოს ლაბორატორიული უნარ-ჩვევების შეფასების კომპონენტი/ასპექტები.
  1. სასწავლო კურსის „ბიოფიზიკა“ წინაპირობად განისაზღვროს ზოგადი ფიზიკის კურსი.
  2. დაწესებულებამ ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას და გაითვალისწინოს ეს კომპონენტი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასების პროცესში.

#### რჩევები:

1. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული გამოწვევების დასაძლევად უსდ-მ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით შეიმუშავოს კონკრეტული სამოქმედო გეგმა;
2. პროგრამას უნდა ჰქონდეს საბაკალავრო ნაშრომის/კვლევითი პროექტის შეთავაზება არჩევითი კურსის სახით. აღნიშნული სტუდენტს გაუწევს მნიშვნელოვან დახმარებას ექსპერიმენტული კვლევის გამოცდილების მიმართულებით და დაეხმარება, გაიაზროს თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოწვევები;
3. აუცილებელია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის და შესაბამისად კვალიფიკაციის გაუმჯობესება/ამაღლება. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური პერსონალი ჩართული იყოს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეთ სამეცნიერო პუბლიკაციები შესაბამისი მიმართულებით იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში;
4. უნივერსიტეტის ლაბორატორიებში არსებული თანამედროვე ხელსაწყოების გამართულ-ლად ამუშავება და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
5. პროგრამის სახელწოდების ცვლილება: „გამოყენებითი ბიომეცნიერებები ან/და ბიოტექნოლოგია“ ;
6. პროგრამის გაძლიერებისთვის, დარგის სპეციფიკიდან და არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, სასურველია პროგრამაში თუნდაც თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების სახით იყოს წარმოდგენილი: ბიოსტატისტიკა, გენომიკა და პროტეომიკა, კომპიუტერული პროგრამირების ენა, ბოქსიური ინჟინერიის პრინციპები, ბიოტექნოლოგია და გენეტიკური ინჟინერია სასწავლო კურსების ჩამონათვალი;
7. საყურადღებოა, რომ სტუდენტების რაოდენობასთან შესაბამისობაში იყოს ტექნიკურ-მა-ტერიალური ბაზა;
8. სასურველია გაიზარდოს სტუდენტების კარიერული მხარდაჭერა, კერძოდ, მიიღონ მეტი ინფორმაცია სტაჟირების შესახებ;



9. სასურველია თანამედროვე აღჭურვილობის შექმნა. მაგალითად, ნანოფოტომეტრი/ნა-ნოდროფი და სხვა.

შესაბამისად, პირველი სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, მეორე სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“, მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, მეხუთე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“.

2. მეორე საკითხი: შპს - ევროპის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია Dentistry
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07.08.2015, №123 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სტომატოლოგია Dentistry
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი Doctor of Dental Medicine (DMD)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	სარაჯიშვილის ქ. N17თბილისი, 0189, საქართველო
15	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილე	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

აცილება განაცხადა- ეკატერინე ნაცვლიშვილმა,  
მაკა კაჭარავამ

საფუძელი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის შესაბამისობის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით განახორციელა დისტანციურად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით 2021 წლის 16 თებერვალს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადაეგზავნათ დოკუმენტაცია, ხოლო დამატებითი საბუთები და მასალები, მოთხოვნის შემდგომ გადაეგზავნათ ელექტრონული ფოსტით. წინააღმდეგობების გარეშე ჩატარდა მათთვის საინტერესო პირების გამოკითხვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვირტუალური დათვალიერება. ინტერვიუ ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე ჩატარდა ZOOM-ის აპლიკაციის პლათფორმით. ინტერვიუს ნაწილი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარდა ინგლისურ ენაზე, გამოკითხვებმა აჩვენეს ენის სათანადო ცოდნა. სტომატოლოგიის ინგლისურენოვან პროგრამას ჰყავს მხოლოდ 1 კურსდამთავრებული, ამიტომ ინტერვიუები ჩატარდა სტომატოლოგიის ქართულენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულებთანაც.

შპს - ევროპის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი \_ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი \_ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი \_ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი \_ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი \_ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, ლიტერატურული რესურსები, შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის მიზანი, შედეგი და შინაარსი;

2. სტომატოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსის სილაბუსებში დეტალურად აღიწეროს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა პრაქტიკულ ნაწილში, დაკონკრეტდეს ფანტომებზე, პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, ამ ჩამონათვალში არსებულ თითოეულ მანიპულაციას მიენიჭოს ქულა, რომელსაც 8 სტუდენტი მიიღებს მისი შესრულების შემდეგ. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურების შექმნით ან რაიმე სხვა დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტისთვის;

3. გაძლიერდეს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. სტუდენტისთვის პაციენტის მიღება უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრს უმაღლეს სასწავლებელში და საქართველოს კანონმდებლობითაც დასაშვებია;

4. OSPE, OSCE-ის გამოცდების შეფასების სისტემა იყოს სრულყოფილი, ყველა შემადგენელი კომპონენტით, გამოცდის შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად, ჩანდეს რომელი კომპეტენციების შეფასება იგეგმება და როგორ იქნება ქულობრივად გადანაწილებული.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული იყო, რომ პროგრამა ხორციელდებოდა ავტორიზაციის რეჟიმში, თუმცა თავდაპირველად ექსპერტებისთვის წარდგენილ დოკუმენტებში მოცემული იყო აკრედიტებული რეჟიმი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ თავდაპირველად პროგრამა ხორციელდებოდა აკრედიტაციის რეჟიმში, თუმცა პროცესის განხორციელების დროს პროგრამას გაუვიდა აკრედიტაციის ვადა.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ პროგრამაში მოცემულია და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ კურსები ითვალისწინებს ფუნდამენტური (თეორიული, საბაზისო) და პრაქტიკული (კლინიკური) სასწავლო კურსების ინტეგრაციას. შესაბამისად, მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა უნდა განსაზღვრავდეს პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას, ამასთან ერთად პროგრამის სწავლების მეთოდების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და რაც მთავარია საბაზო და კლინიკური (პრაქტიკული აქტივობით) სასწავლო კურსების თანაბარ და რელევანტურ ინტეგრაციას. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს ძირითადად საფანტომო კურსებს არსებულ საუნივერსიტეტო ბაზაზე, ხოლო კლინიკური როტაციის პირობებში - სტუდენტების მიერ ექიმების ასისტირების შესაძლებლობებს. სწავლების პროცესების ორგანიზება მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის შექმნას, ასევე გარკვეული კომპეტენციის და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას, რაც მიღწევადი იქნება პრაქტიკული კომპონენტის არამარტო ფანტომზე.

კარგად სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამის მიუხედავად, სამწუხაროდ თითქმის ყველა სპეციალობის სასწავლო კურსის სილაბუსი არის დაუსრულებელი. სილაბუსში არ ჩანს პრაქტიკულად რას აკეთებს თვითონ სტუდენტი, მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსში წერია, რომ პრაქტიკული კომპონენტი ფასდება და მას მინიჭებული აქვს კონკრეტული ქულა. შესაბამისად სემესტრის განმავლობაში არ ჩანს რომელი პრაქტიკული აქტივობა ფასდება ფანტომზე, რომელი რეალურ პაციენტზე. ინტერვიუს და ბაზის ვირტუალური დათვალისწინების შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტები აქტიურად მუშაობენ ფანტომებზე, თუმცა კონკრეტულად რას და როგორ აკეთებენ, არსად არ არის დაკონკრეტებული. სილაბუსების შინაარსში, თემატიკის ნაწილში ნამდვილადაა გაწერილი პრაქტიკულად შესასრულებელი მანიპულაციები, მაგრამ მაგ., საფანტომო კურსებზე 15 პრაქტიკული მეცადინეობიდან პრაქტიკული კომპონენტი ფასდება მხოლოდ 2-ჯერ და კონკრეტულად რა, არ არის მითითებული. თუ ზეპირი გამოკითხვა ტარდება 10-ჯერ, პრაქტიკული აქტივობის

შეფასება, სპეციალობის სასწავლო კურსში, რატომაც მხოლოდ 2-ჯერ? რაც შეეხება 19 პაციენტებზე ჩასატარებელ მანიპულაციებს, მათი ჩამონათვალზე ასევე ზოგადია. არ ჩანს როგორ ფასდება სტუდენტის მიერ პაციენტების მკურნალობის დროს ჩატარებული მანიპულაციები. არსად არაა დეტალიზებული, რომელ სასწავლო კურსზე, რომელ სემესტრში პედაგოგის ზედამხედველობის ქვეშ რა უნდა გააკეთოს სტუდენტმა პაციენტზე. სილაბუსებიდან და ინტერვიუებიდან ჩანს, რომ სტუდენტი თავისი სურვილით მკურნალობს პაციენტს და არა რაიმე ვალდებულების გამო. რა თქმა უნდა, აქ საუბარია სპეციალიზაციის ისეთ სასწავლო კურსებზე, სადაც შესაძლებელია კონკრეტულ კურსზე, პედაგოგის ზედამხედველობით არამხოლოდ პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენის, არამედ მარტივი მანიპულაციების ჩატარება.

თერაპიული სტომატოლოგია, სადაც ყველაზე რეალურია პაციენტის მიღება, ისწავლება მხოლოდ საფანტომო კურსის რეჟიმში, მე-3, 4, და კლინიკური კურსის რეჟიმში მე-5, 6 სემესტრებში, უფრო მაღალ სემესტრებში არა. კარგი იქნებოდა, თუ გარკვეული ფორმით მოხდებოდა მაღალ კურსებზე სასწავლო კურსების მოდიფიცირება და მათში ოპერაციული ოდონტოლოგიისა და ენდოდონტიის ინტეგრირება. პრაქტიკული სასწავლო კურსების უმრავლესობის სილაბუსში გამოცდის ფორმად მითითებულია OSCE, გამოცდის ეს ფორმა ჯერ არ ჩატარებულა. ყველა სასწავლო კურსზე გამოცდა იგეგმება 4 სადგურზე, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რა დროში, რომელი კომპეტენციების შეფასება ხდება, ჯერ არ არის დაზუსტებული ყველა სადგური, შესაბამისად არ არის მზად შეფასების ფურცლებიც. ინტერვიუს დროს ამ შენიშვნაზე პასუხი ასევე ზოგადი იყო: ჯერ ყველა სასწავლო კურსის გამოცდის შინაარსი გაწერილი არ არის. თუ პროგრამაში მითითებულია გამოცდის ფორმა, ისევე როგორც სხვაგანაა დაკონკრეტებული ქულების განაწილება ტესტებით, საკითხებით და სხვა, OSCE-ს შემთხვევაშიც უნდა ჩანდეს გამოცდის დეტალები. აკრედიტაციისთვის პროგრამა თავისი ყველა კომპონენტით უნდა იყოს დასრულებული სახით. ეს დანაკლისი აუცილებლად უნდა გასწორდეს.

დოკუმენტებში ნამდვილად არის წარმოდგენილი სადგურების შეფასების ფურცლები. თუმცა ზოგიერ სილაბუსთან მაინც არ არის თანხვედრაში, მაგ, ოპერაციული ოდონტოლოგიის საფანტომო კურსი, ენდოდონტიის საფანტომო კურსი, ენდოდონტიის კლინიკური კურსი - გამოცდის აღწერაში წერია - „ეს კრიტერიუმი მოიცავს სტუდენტის 20 ექიმთან ასისტირებას კლინიკაში პრაქტიკული/კლინიკური უნარების შემუშავებას და დემონსტრირებას“ - რა შუაშია კლინიკაში ექიმის ასისტირება? ქულების განაწილებაც სილაბუსებში განსხვავებულია. ასევე, გამოგზავნილი დანართიდან ირკვევა, რომ ყველა შეფასების ფურცელი OSCE-საა, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საფანტომო კურსებზე გამოცდის ეს ფორმა უნდა შეიცვალოს OSPE-ით - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდით. ასევე, რჩევის სახით, გამოცდილებასთან ერთად სასურველია გამოცდის სადგურების რაოდენობის გაზრდა, რადგან 8 სადგურზე ნაკლები გამოცდის ეს ფორმა არარელევანტურია, ამისათვის კი უმჯობრესი იქნება, თუ გამოცდის 40 ქულა იქნება მხოლოდ OSCE.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ზემოხსენებული წარმომადგენს ფაქტობრივ უზუსტობას, რადგან პროგრამის ყველა სილაბუსი არის დასრულებული ფორმატით. მასში გარკვევითაა ასახული სასწავლო კურსის მიზანი, სასწავლო კურსის შედეგები და შინაარსი. ამასთან, სასწავლო კურსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა არის ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო. რაც შეეხება რიდერებს, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, საკუთარი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში აქვთ უფლება აღნიშნული გამოიყენონ დამატებითი ლიტერატურის სახით. რაც შეეხება პროგრამის შედეგების ასახვას სილაბუსებში, აღნიშნული დაეხმარა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს უკეთესად აღექვა, თუ როგორ უწყობდა ხელს თითოეული სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას. თავისთავად, პროგრამის

თითოეული სწავლის შედეგის მითითება სასწავლო კურსის კონკრეტული სწავლის შედეგის გასწვრივ არ გულისხმობს სასწავლო კურსის მიზნის, სწავლის შედეგის და შინაარსის შეუსაბამობას. რა თქმა უნდა, ერთი სასწავლო კურსი ვერ უზრუნველყოფს პროგრამის კონკრეტულ შედეგზე სრულად გასვლას. ამისათვის, უნივერსიტეტში აქვს შესაბამისი პროგრამის დანართი - პროგრამის სწავლის შედეგების რუკა - სადაც ასახულია, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სრულად მიღწევა რომელი სასწავლო კურსების ერთობლიობით ხორციელდება. პროგრამის სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება თითოეულ სასწავლო კურსში. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები აღწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან და საფეხურთან, რაც დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსში განსაზღვრული თემატიკით. სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სილაბუსის თემატიკას და უზრუნველყოფს სტუდენტებს თემატიკასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციით. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა თანამედროვეა. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ეფუძნება სფეროს აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამის ფარგლებში გამოიყენება თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც უზრუნველყოფს დარგში საერთაშორისო და თანამედროვე მიღწევების გაზიარებასა და შესწავლას.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები მიღწევადი და გაზომვადია. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს და იძლევა საშუალებას გაანალიზდეს თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგზე გასვლას.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამაში სტომატოლოგიის სასწავლო კურსებში, რომლებიც მიმდინარეობს საფანტომო კურსის ფორმატში, სტუდენტის პრაქტიკული მუშაობა ხორციელდება ფანტომებზე. კლინიკურ სასწავლო კურსებში, რომლებიც კლინიკაში ხორციელდება იგულისხმება, რომ სტუდენტი პაციენტზე აკეთებს მანიპულაციას (ლექტორის მეთვალყურეობის ქვეშ). შესაბამისად, თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში ასახულია პრაქტიკული სამუშაოები, რომელთა შეფასების მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები ასევე გაწერილია სილაბუსებში და აღნიშნული არ საჭიროებს ცალკე დღიურის შექმნას. რაც შეეხება ჩასატარებელ კონკრეტულ მანიპულაციებს (პრაქტიკულ დავალებებს), აღნიშნული ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსების შინაარსის (თემატიკის) ნაწილში.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენს ფაქტობრივ უზუსტობას, რადგან კლინიკურ სასწავლო კურსებში პრაქტიკული მუშაობა, გულისხმობს პაციენტებზე მანიპულაციების განხორციელებას და იგი ფასდება შესაბამისი ქულით, შესაბამისად, აღნიშნულს არ აქვს ნებაყოფლობითი ხასიათი. კიდევ ერთხელ გადაიხედა სპეციალობის სასწავლო კურსები და სილაბუსში გარკვევითაა აღნიშნული რა მანიპულაციები ტარდება ფანტომზე და რა პაციენტზე (პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ). მაგ: ოდონტოლოგიის საფანტომო კურსი, ენდოდონტიის საფანტომო კურსი, ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია 1 და 2 მანიპულაციები ხორციელდება ფანტომებზე. ოდონტოლოგიისა და ენდოდონტიის კლინიკურ კურსებში იგივე მანიპულაციები ხორციელდება პაციენტზე პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ, რაც ასახულია სილაბუსებში.

მნიშვნელოვანია ასევე ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ, აღნიშნულიც არის ფაქტობრივი უზუსტობა, რადგან პროგრამის განაცხადის დაუსრულებელი სახით წარდგენა წარმოადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან განაცხადის დახარვეზების საფუძველს. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების დოკუმენტის დანართით განსაზღვრული დოკუმენტაცია არ მოითხოვს სააკრედიტაციოდ OSPE, OSCE-ის გამოცდების შეფასების სისტემის წარდგენას. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის განმავლობაში ექსპერტების მხრიდან დაისვა შეკითხვა, არსებობდა

თუ არა OSPE, OSCE-ის გამოცდების შეფასების სისტემა, რაზეც პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან იყო დადებითი პასუხი. ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის ოფიციალურ მეილში, სადაც მითითებული იყო ექსპერტთა მხრიდან დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, არ ფიქსირდებოდა ზემოაღნიშნული შეფასებების სისტემის მოთხოვნა, რის გამოც, არ მოხდა ექსპერტთა ჯგუფისათვის მათი მიწოდება. დანართის სახით კი წარმოდგენილია OSPE, OSCE-ის გამოცდების შეფასების სისტემები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უცხოელი სტუდენტების საკმაოდ კარგი კვლევა არის ჩატარებული, საიდანაც კარგად ჩანს, რომ მიზანი იყო სწორად განსაზღვრული. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტი არის საკმაოდ დეტალიზებული, თუმცა აღნიშნული არ არის პროგრამული ბიუჯეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ბიუჯეტი რეალურად პროგრამის დონეზეც დგება, რომელიც მუშავდება და იგზავნება დეკანთან, ხოლო დეკანი შემდგომ ადგენს მთლიანად ფაკულტეტის ბიუჯეტს, თუმცა პროგრამის ბიუჯეტს ოფიციალური სახე არ აქვს და ვინაიდან ამის მოთხოვნა არ იყო აკრედიტაციისთვის გადაგზავნილი იქნა ფაკულტეტის ბიუჯეტი. თუმცა ფაკულტეტის ბიუჯეტის შედგენისთვის ინფორმაციის მოგროვება ხდება პროგრამების დონეზე, საჭიროებებისა და შემოსავლების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ 1.2 კომპონენტში წარმოდგენილია შედმეგი სახის რჩევა, რეალურად მიღწევადი სწავლის შედეგების გაწერა ან უკვე არსებული სწავლის შედეგების მოდიფიკაცია და რედაქტირება. შესაბამისად, საბჭოს წევრი დანტერესდა თუ რამ განაპირობა აღნიშნული რჩევის განსაზღვრა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამაში გაწერილია 12 შედეგი, რომელიც გაყოფილია სამ სტანდარტზე. მნიშვნელოვანია, რომ ცოდნა და პრაქტიკა განსხვავდება ერთმანეთისგან, ანუ რა იცის და რას აკეთებს სტუდენტი. შესაბამისად, ცოდნის კომპონენტისაგან პრაქტიკული საკითხები უნდა იყოს გამიჯნული.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა 2.2. კომპონენტთან არსებულ რჩევაზე, კერძოდ, თავისუფალი კომპონენტის კრედიტების დაგროვების რეალური სქემის შემუშავებაზე და მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია 12 არჩევითი კურსი. თუმცა ყველა არ არის 5 კრედიტიანი, ზოგი შეიძლება იყოს მეტი, ზოგი ნაკლები. შესაბამისად საყურადღებოა თუ როგორ დააგროვებს სტუდენტი 10 კრედიტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს 270 კრედიტის მოცულობით. მათ შორის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 258 კრედიტის მოცულობით და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტებს 12 კრედიტის მოცულობით. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 30 კრედიტის მოცულობით, მათ შორის თავისუფალ კომპონენტს 20 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე და თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით. სტუდენტებს ნამდვილად აქვთ იმის ტექნიკური შესაძლებლობა რომ დააგროვონ 10 კრედიტი.

19:44- საბჭოს სხდომა დატოვა მაკა კაჭარავამ  
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება  
დაწყების დრო: 19:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - ევროპის უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების 1 შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ევროპის უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

ასევე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- დაკონკრეტდეს ფანტომებზე, პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, ამ ჩამონათვალიში არსებულს თითოეულ მანიპულაციას მიენიჭოს ქულა, რომელსაც სტუდენტი მიირებს მისი შესრულების შემდეგ. ეს შეიძლება, გაკეთდეს როგორც სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურების შექმნით ან რაიმე სხვა დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომის იქნება სტუდენტისთვის.
- გაძლიერდეს სწავლება-სწავლის მეთოდები და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი-სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. სტუდენტისთვის აციენტის მიღება უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, როგორც მიღებული ამსოფლიოს ძალიან ბევრს უმაღლეს სასწავლებელში და საქართველოს კანონმდებლობითაც დასაშვებია, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული ექნება კონკრეტული ქულა.
- გამოცდის შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად, ჩანდეს რომელი კომპეტენციების შეფასება იგეგმება და როგორ იქნება ქულობრივად გადანაწილებული.
- რეკომენდებულია სტომატოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსის სილაბუსებში დეტალურა დალიწეროს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა პრაქტიკულ ნაწილში, ფანტომებზე და პაციენტებთან მუშაობის დროს, მითითებული იყოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევით მიიღება.

3. მესამე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა:

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	20.03.2020, №45 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1400, გორი, ჩერქეზიშვილის N1, სასწავლო კორპუსი N3
15	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილე	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა



საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. გაძლიერდეს სიტუაციური ანალიზით, პრაქტიკული მაგალითებით სწავლება;
2. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სამართლის სფეროს სასწავლო კურსის სათაური და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში. აქცენტი გაკეთდეს კონკრეტულ იმ სფეროზე, რომელიც კავშირშია ამავე პროგრამის კვალიფიკაციასთან და დასაქმების სფეროსთან (ამ შემთხვევაში ეკონომიკასთან);
3. გადამუშავდეს სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მოვიდეს შესაბამისობაში სწავლების დონესთან;
4. საგანმანათლებლო პროგრამაში აისახოს „შრომის ეკონომიკის“ საკითხები;
5. „ექვევის ეკონომიკა“ განისაზღვროს, როგორც სავალდებულო კურსი და წინაპირობად განისაზღვროს „ფსიქოლოგიის საფუძვლები“;
6. „ინოვაციური ეკონომიკა“ მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის ძირითად სფეროსთან;
7. საგანმანათლებლო პროგრამა გაძლიერდეს „მენეჯერული ეკონომიკის“ საკითხებით;
8. რეკომენდირებულია მეტი აქტივობები უცხო ენის კომპეტენციის სწავლებასთან დაკავშირებით

ექსპერტმა განმარტა, რომ სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ანგარიში წარადგინა 2021 წლის 20 იანვარს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 3 აპრილის #4 განკარგულებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. მე-3 რჩევის გათვალისწინებით, დაწესებულება განმარტავს, რომ მიმდინარეობს ელექტრონული სახელმძღვანელოების ბეჭდური ვერსიების შესყიდვა და რიდერების მომზადება. ექსპერტის აზრით, 9 თვიანი ვადა საკმარისია სახელმძღვანელოების ბეჭდური ვერსიების შესყიდვისა და შესაბამისად რიდერების მოსამზადებლად. დაწესებულების მიერ მოხდა ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს, აკრედიტაციის საბჭოს და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალი მუდმივად ზრუნვას პროგრამის განვითარებაზე და ასევე დაამატა, რომ უნივერსიტეტში დაფუძნდა რეფერირებადი ჟურნალი. სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:08

დასრულების დრო: 20:09

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27<sup>ბ</sup> მუხლის 2<sup>11</sup> პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიიღო ცნობად.

4. მეოთხე საკითხი: შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა:

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მარკეტინგი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13.07.2020, №103 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მარკეტინგი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში / Master of Business Administration in Marketing (0202)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	--
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	122
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. N2, 0131
15	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილე	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - დიანა მჭედლიშვილმა

მიზეზი: დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის არსებობა უახლოეს წარსულში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. . საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმასაბჭოს გააცნო შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის გაძლიერება ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსებით როგორცაა: კორპორაციათა ფინანსები, პროექტის მენეჯმენტი და სტრატეგიული HR. ამასთან, პროგრამაში არჩევითი კურსების სახით უკვე არის პროექტის მენეჯმენტი და სტრატეგიული HR სასწავლო კურსები და შესაბამისად საჭირო იქნება მათთვის სავალდებულო კურსების სტატუსის მინიჭება;

2. რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით დაკორექტირდეს კურსზე დაშვების წინაპირობები, რომელიც განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი პროგრამაში და სილაბუსებში. მაგალითად, სასწავლო კურსში „სოციალური მედიის გამოყენება“ - წინაპირობად სილაბუსში განსაზღვრულია „ელექტრონული კომერცია“ (ამ სახელწოდებით სასწავლო კურსი არ არის გათვალისწინებული პროგრამაში), სასწავლო კურსი „ნეირომარკეტინგი“-სილაბუსში წინაპირობა არ არის განსაზღვრული;

3. რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით (მაგ. მარკეტინგული ქეისები და ანალიზი, პროფესიული წერა და ა.შ.) გადაიხედოს სწავლის შედეგები და სასწავლო კურსების სილაბუსებში მონიშნული სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სწავლის შედეგების ამსახველ რუკასთან;

4. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ბიზნესის სტრატეგია“ სახელწოდება კურსის შინაარსიდან გამომდინარე ჩამოყალიბდეს როგორც „სტრატეგიული მენეჯმენტი“;

5. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში დეტალურად იყოს წარმოდგენილი მისი დაფინანსების ყველა წყარო და გასაწევი ხარჯების სრული მოცულობა.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ფინანსების სამაგისტრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით მიენიჭა სრული, 7 წლიანი აკრედიტაცია, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების 6 თვეში შესრულების წინაპირობით. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამას განესაზღვრა 5 რეკომენდაცია.

როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების მიზნით ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, სადაც ხორციელდება აღნიშნული პროგრამა, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შეყვანილი იქნა, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ისე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამის პოტენციური დამსაქმებლები და სტუდენტები.

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებით მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ რეკომენდაციების შესრულების შემდეგ პროგრესი განიცადა შემდეგი მიმართულებებით: წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიღწევას, კერძოდ სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული გაძლიერებულია ფინანსების, ადამიანური რესურსების მართვის და პროექტების მართვის ნაწილში; დაკონკრეტებულია პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები; დაკორექტირებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაშია მოყვანილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან; სასწავლო კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით დაკორექტირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდება; დაკონკრეტებულია პროგრამის ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციის მიერ მოხდა რეკომენდაციების გათვალისწინება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:37

დასრულების დრო: 20:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის 2<sup>11</sup> პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მარკეტინგის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიიღო ცნობად.

ღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:50 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
თავმჯდომარე  
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს მდივანი  
შენგელია მარიამ

